კვირა, 20 ივნისი, 1904 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მერვე 1904 კვირა, 20 ივნისი, 1904 წ.


**გაზეთის ფასი:**

| | | |
|---|---|---|
| 12 | თვით . . | 10 მ. — კ. |
| 11 | ,, . . | 9 ,, 50 ,, |
| 10 | ,, . . | 8 ,, 75 ,, |
| 9 | ,, . . | 8 ,, — ,, |
| 8 | ,, . . | 7 ,, 25 ,, |
| 7 | ,, . . | 6 ,, 50 ,, |
| 6 | ,, . . | 6 ,, — ,, |
| 5 | ,, . . | 5 ,, 50 ,, |
| 4 | ,, . . | 4 ,, 75 ,, |
| 3 | ,, . . | 3 ,, 50 ,, |
| 2 | ,, . . | 2 ,, 75 ,, |
| 1 | ,, . . | 1 ,, 50 ,, |

# ივერია

№ 143 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 143

**წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



## რედაქციისაგან

რედაქცია აუწყებს იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც მხოლოდ 5 მანეთი აქვთ წარმოდგენილი, შემოიტანონ დანარჩენიც 1 ივლისამდე, რათა გაზეთი გზავნა არ მოესპოთ.

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

## თხზულებანი ია ეკალაძისა.

(ავტორის სურათით).

**ფასი ერთი მანეთი.**

წიგნის დაბარება შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიიდგან.

(15—1).

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვაჭრობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1904—1905 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკანომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка)

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყობა 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდგან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევსკის და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში,

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანც, ტფილისს.

უფასოთ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსებზე სწავლა ყოველ დღეა.

(24—160—1)

ვიდებ საეკლესიო **პანკელეჲის სამხატვრო საქმეებს.** მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი პრიუტი, ტფილისის მაზრა, მღვდელს მელიტონ ყანჩაველს.

(15—13)

**ქართველნი მკურნალნი:**

**ზედგინიძე მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

**ვაჩნაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** მიხეილის პროსპექტი, № 145.

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვის, № 123.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. ზ. ავეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, და ვენერიულ ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

**კ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. ხოლოდაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია)

**ზ. ს.ე ლში.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. ზჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ხ. ტ. არვანიტაკი.** 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **კ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. ზედგინიძისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9, მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. ი. ბალარჯიშვილი.** ბავშვებისა, 9—10 ს.

**ლ. მ. მოინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. ზედგინიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

[illegible]შვილი.—კბილის ექიმი იღებს ავადმყოფებს დილით 9—11 საათ.

ექიმი ქალი **მ. კ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. ვ. სოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიურ-მიკროსკოპიული ბაკტერიო-სკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კროტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კროტით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)


# ომის ამბები

## დეპეშები და წერილები.

გენერალ-კუროპატკინის სტრატეგია.—რუსისა და იაპონიის ლაშქრების დაახლოვება.—რუსისა და იაპონელების ფლოტი პორტ-არტურთან.—ბალტიის ფლოტი.—წვრილი ცნობები.

როგორც ამბობენ და პეტერბურგიდგანნა საზღვარ გარედ გაგზავნილ ცნობებითაც მტკიცდება, გენერალ კუროპატკინს ბოლოს დროს სხვანაირად დაუყენებია მანჯურიის ლაშქარი. წინად ამ ლაშქის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ჰქონდა პირი მიპყრობილი და მოწინავე ჯარი ფინშუილინის ქედს შეჰყურებდა. ეხლა გენერალ კუროპატკინის უმთავრესი ნაწილი ამ ლაშქრისა ლიოიანიდგან სამხრეთისკენ დაუწევია და პირიც სამხრეთისკენ მიუქცევია. მარჯვენა ფრთა ამ ლაშქარს ლიაოხესთან ექმნება და მარცხენა ფინშუილინის მთებთან. მრავალი უღელტეხილი, რომელიც მარცხენა მხარეს არის, მაგალითად საიმაძი რუსებმა კარგად უნდა გაამაგრონ, რომ მარცხენა ფრთას არ დაჰკრან იაპონელებმა. ამ ნაირად ლაშქრის დაბანაკებას ის უპირატესობა აქვს, რომ, ვინიცობაა რუსის ლაშქარს უკან დაწევა დასჭირდა, მთელი ლაშქარი ადვილად და ერთბაშად დაიწევს; წინად კი ჯერ მარცხენა ფრთა უნდა წასულიყო ჩრდილოეთისკენ, მერე შუაგული მიჰყოლოდა და ბოლოს მარჯვენა ფრთა. ამ ამ შემთხვევაში ძალიან შეუგვიანდებოდათ, მარჯვენა ფრთას გზა არ ექმნებოდა და მტერს შეუვარდებოდა. ეხლა სულ სხვაა. მარჯვენა ფრთას კარგი ადგილი უჭირავს გენერალ შტაკელბერგის უფროსობით (ნ. ვ.).

—

იაპონიის საელჩოს გამოუცხადებია ლონდონში, გენერალ ოქუს ოფიციალურ მოხსენებიდგან სჩანსო, რომ ვაფინგოუს ომში იაპონელებს 317 ჯარის კაცი მოკლეს. მათ შორის 43 აფიცერი (რ. ვ.).

—

სამხედრო მიმომხილველი გაზეთ «დ. ნ.»-სა ანგარიშობს, რამდენი მეომარი ეყოლებათ რუსებსა და იაპონელებს მანჯურიაში. როდესაც მეათე, მეჩვიდმეტე და მეხუთე ციმბირის კორპუსები ჩავლენ ლიაოიანს, რაც ივლისის ნახევარზე ადრე არ შეიძლება, გენერალ კუროპატკინს 221 ბატალიონი ქვეითი ჯარი ეყოლება, 183 ესკადრონი კავალერიისა და 81 არტილერიის ბრიგადა, რაც შეადგენს 250,000 მეომარს, 640 ზარბაზნით. იაპონელებსა ჰყავთ ომის ველზედ 234 ბატალიონი ქვეითის ჯარისა, 68 ესკადრონი კავალერიისა და 130 არტილერიის ბრიგადა, სულ 226,000 მეომარი, 780 ზარბაზნით. ამ ჟამად გენერალ კუროპატკინს 100,000 მეომარი ჰყავს; იაპონელებს კი 140,000 მეომარი. ეს ძალა რომ ერთბაშად მიაწვეს რუსის ლაშქარს, რუსებმა უკან უნდა დაიწიონ. ხოლო იაპონელებს არ შეუძლიანთ სულ ეს ჯარი ლიაოიანთან მიიყვანონ, რადგან რაზმები უნდა დასტოვონ სხვა და სხვა ადგილს, [illegible] რუსებს არა ჰგონიათ, რომ ეხლა იაპონელებმა გაჰბედონ იერიშის მიტანა რუსის ჯარზე. ისინი მხოლოდ შეაჩერებენ რუსებს ლიაოიანსა და მუკდენში, რომ პორტ-არტურის დასახსნელად არ წავიდნენო (რ. ვ.).

—

ტოკიოდგან იუწყებიან, ოფიციალურ მოხსენებიდგანა სჩანს, რომ 10 ივნისს პორტ-არტურის ნავთსადგურიდგან გამოსულ სამხედრო გემებს იაპონელების ნაღმოსნები მიესივნენ და ჯერ მოწინავე ნაღმოსნებს დაეტაკნენ, ერთი მათგანი მოიმწყვდიეს, დანარჩენები კი უკან გაეშურნენ. იაპონელების ესკადრა გამწკრივდა და საომრად დაემზადა, მაგრამ რუსის გემები ზღვაში ვერ გაიტყუეს. რუსის გემები ნავთსადგურისკენ გაბრუნდნენ, მაგრამ შესვლა ვერ მოახერხეს რადგან იაპონელების ნაღმოსნები გამოეკიდნენ, და კლდის ძირს გაჩერდნენ. იმ ღამეს იაპონელების ნაღმოსნებმა რვაჯერ მიიტანეს იერიში რუსის გემებზე და უაიტხედის ყუმბარები ესროლეს (რ. ვ.).

—

იაპონელები ძალიან გაოცებულან და შეფიქრიანებულან, რომ რუსეთის ფლოტმა პორტ-არტურიდგან გამოსვლა დაიწყო და ყველა დაზიანებული გემები შეუკეთებიათ. ტოკიოში დარწმუნებულნი არიან, რომ ეს ფლოტი იაპონიის ესკადრას არ მოუსვენებს და გაბედულ მოქმედებით ყველაფერში ხელს შეუშლისო.

დალნის ნავთსადგურში იაპონელებს ძველი გემები შეუგროვებიათ, რომ პორტ-არტურისკენ გაგზავნონ შესავლის დასახშობად (ბ. ვ.).

—

როგორც უცხოეთის გაზეთები იუწყებიან, ბალტიის ესკადრა უკვე შემზადებულა და ივლისის ნახევარს შორეულ-აღმოსავლეთისკენ წავა. გზაში დიდხანს დარჩება, რადგან ნელა ივლის. გზა და გზა ქვანახშირის შოვნის იმედი არა აქვს და ამიტომ თან უნდა წაიღოს სატრანსპორტო გემები. ერთს ადმირალს უთქვამს, იაპონელებისაგან ყველაფერი მოსალოდნელია და შესაძლოა ქვა-ნახშირის საწყობებში ყუმბარები აღმოჩნდესო. გზაში აფიცრები სამხედრო გემის კონსტრუქციას შეისწავლიან და დაბალი მეზღვაურებსაც შეასწავლიან, რომ [illegible]ლა მათგანი დახელოვნებული იყოს იმ დროს, როცა შორეულ-აღმოსავლეთს მივლენ. პეტერბურგში დარწმუნებულნი არიან, რომ ბალტიის ესკადრა ესე მოიქცევა: ვიდრე ესკადრა ყვითელ ზღვაში შევა, ორი კვირის წინად, ე. ი. ოკდომბრის ნახევარს, ვლადივოსტოკისა და პორტ-არტურის ესკადრები გამოვლენ და იაპონიის ფლოტს დაეცემიან. რაკი ადმირალ ტოგოს და კამიმურას ესკადრებს დააზიანებენ, დანარჩენ იაპონელების გემებს ძალა აღარ ექმნებათ, ებრძოლონ ახლად მისულ ბალტიის ფლოტს. (ნოვოსტი).

—

სად უნდა იშოვნოს ბალტიის ფლოტმა იმდონი ქვა-ნახშირი, რომ შორეულ-აღმოსავლეთამდე ეყოს,—ამის გადაწყვეტა გასჭირებია რუსეთისა და უცხოელთა მწერლობას. „ტაიმსში“ დაბეჭდილია დეპეშა სევასტოპოლიდგან, ვითომც შავის ზღვის ნავთსადგურებში დამზადებულია 50—60 ათასი ტონნი საუკეთესო ქვანახშირი, რომლის გაზიდვა ამ რიგად შეიძლება: ბალტიის ზღვიდგან რუსის ფლოტს სატრანსპორტო გემები გაჰყვება, ქვა-ნახშირით დატვირთული. სუეცს რომ მივა ფლოტი, იქ შავს ზღვიდგან გასული გემები დაუხვდება ქვა ნახშირით. იქიდგან ფლოტი გაჩქარებით წავა შორეულ-აღმოსავლეთისკენ. სხვა გაზეთები ამბობენ, რუსის ფლოტი აფრიკას მოუვლის, ზოგის აზრით კი ამერიკის გარშემო მოვა[illegible]სტი).

—

გაზეთი «მატიანე» იუწყება, ვითომც ვლადივოსტოკის ესკადრას იაპონელების სატრანსპორტო გემ «სადომარუზე» ინგლისის ოქროს ფული უპოვიათ 5 მილიონ ფრანკად ღირებული. იმავე გაზეთის სიტყვით, ვლადივოსტოკის ესკადრის მიერ ტყვედ წაყვანილი ინგლისელი გემი «ალლანტოუნი» მალე განთავისუფლებულ იქმნება, რადგან მტკიცდება, რომ იაპონიაში ქვა-ნახშირი მიუტანია და იქიდგანაც ქვა-ნახშირი მიჰქონდა სინგაპურისკენ (ნ. ვ.).

—

სამხრეთ აფრიკაში, ნავთ აგურ ნოლოტიდგან 50 მილის სიშორეზე, ერთბაშად სატრანსპორტო გემი დაღუპულა 27 მაისს. ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი ასტეხა მეზღვაურთა შორის. ეს გემი კარდიფიდგან გასულა შავის-ქვით დატვირთული. როგორც გაზეთი «დელ. მელი» ამბობს, ეს ქვა-ნახშირი რუსეთის მთავრობას ჰქონია დაკვეთილი. გემს ნაბრძანები ჰქონდა, კეპტოუნს გაჩერებულიყო და შემდეგ კიაო-ჩაუს წასულიყო. კაპიტან ხილს იმედი ჰქონდა, რომ იქიდგან როგორმე გაეპარებოდა იაპონელების გემებს და პორტ-არტურს მივიდოდა. 27 მაისს დილით გემი სრულიად მთელი და უზიანო იყო. 10 საათზე წყალი შესვლია ძირში და გემი სწრაფად აუვსია. მეზღვაურები ნავებით გადარჩენილან, გემი-კი ჩაძირულა. ვერავინ მიმხვდარა, რა მიზეზით დაიღუპა გემი კარგს ამინდსა და მშვიდ ზღვაზე (ნ. ვ.).

—

როგორც ტოკიოდამ ატყობინებენ «დ. ტელეგრ.», იაპონელებს კრეისერ „ვარიაგიდამ“, ამოუღიათ ოცდა-თერთმეტი ზარბაზანი, სამი ნაღმიანი ყუმბარა და აუარებელი სამხედრო იარაღი. (კაზბ.).

# ტფილისი

—

*** ორშაბათს, 21 ივნისს, კრება ექმნება ტფილისის ქალაქის საგუბერნიო საქმეთა საკრებულოს, კრება. სხვათა შორის, განიხილავს ტფილისის ქალაქის საბჭოს

დადგენილებას ხორცის ხარისხებად დაყოფისა და ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიის განკარგულებაში **25.000** მანეთის გადადების შესახებ.

*** ტფილისის მმართველობამ უმაღლესს მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, ფული გადასდე სოფელ სიონთან (დუშეთის მაზრა) თერგზე ხიდის გასაკეთებლადაო.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას კოლექტიური თხოვნა გადასცეს ავლაბრის მცხოვრებლებმა. ისინი თხოულობენ, ავლაბარშიც გაიყვანეთ ელექტრონის ტრამვაის ლიანდაგიო.

*** ქალაქის ექიმს მრევლიშვილს ქალაქის საბჭომ, თანახმად საფინანსო კომისიის წინადადებისა, **600** მანეთი პენსია დაუნიშნა წელიწადში.

*** ხმოსანმა სურენიანცმა ამას წინად ქალაქის გამგეობას წინადადება მისცა. სა ჰიდრავლიკო სადგურის აგება ბელგიის უსახელო საზოგადოებას მივანდოთო. ქალაქის საბჭომ არ მოიწონა ეს წინადადება და დაადგინა, დაევალოს ქალაქის გამგეობას ხმოსან-ტეხნიკოსებთან ერთად შეადგინოს ვრცელი მოხსენება საჰიდრავლიკო სადგურის შესახებ. მოხსენება შედგენილ უნდა იქმნეს სექტემბრამდე.

*** ქალაქი პეტროვსკი ჩარიცხულ იქმნა იმ ადგილთა სიაში, სადაც ცხოვრება და ყოფნა არ შეუძლიათ იმ კაცთ, რომელნიც, სასამართლოს გადაწყვეტილებით, პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან.

*** ტფილისის გუბერნატორმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქუჩეაის მოკირწყვლა ერთობ ჰიანურდება, ამიტომ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, მუშაობა დააჩქარეთო.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ ყველა კონდუქტორებმა ზაფხულისთვის ფორმის ტანისამოსი შეიძინონ. ვინც არ შეასრულებს ამ განკარგულებას, დათხოვნილ იქმნება თანამდებობიდან.

*** ტფილისის ქალაქის საბჭომ წარსულ კრებაზე დაადგინა, განასაჩივროს [illegible] ქის საგუბერნიო საქმეთა საკრებულოსი- რომელმაც უარ-ჰყო ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილება ინჟენერ ალხაზოვისათვის ფულის შემწეობის აღმოჩენის შესახებ.

*** ტფილისში ბევრი ისე იწყებს სახლის შენობას, რომ გეგმა არ აქვს გამოტანილი საგუბერნიო მმართველობიდან ამიტომ მმართველობას გადაუწყვეტია, თვალ ყური ადევნოს ყველა ქუჩებს, რომ არავინ დაიწყოს შენობა გეგმის აუღებლად.

*** ორშაბათს, **21** ივნისს, კრება ექმნება ტფილისის ქალაქის საბჭოს განსახილველი **36** საგანი აქვს.

*** ტფილისის ქალაქის გამგეობას განუზრახავს, შუამდგომლობა აღძრას უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ქალაქი განთავისუფლებულ იქმნეს ქალაქის მკურნალთა და ბებია-ქალთა შესანახ ხარჯისაგან.

*** ტფილისის სახალხო კითხვათა საზოგადოებამ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, მომავალ წლისათვის ჩვენს საზოგადოებას 600 მანეთით აღმოუჩინე შემწეობაო. ეს ფული ახლავ შეიტანე მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაშიო.

*** რედაქციამ მიიღო „არსენას ლექსი", გამოცემული ალექსანდრე შახბარათოვის მიერ. წიგნი შიდ კაპეიკად ღირს, თუმცა წინანდელი გამომცემლები შაურად ჰყიდიდნენ. წიგნში რამდენიმე სურათი აქვს ჩართული და, ალბად, ამიტომ დააწერა გამომცემელმა 7 კაპ.

## ჩვენებური ამბები

**დ. თიანეთი.** თიანელებსა და ახალსოფლელებს შორის ეს მესამე წელია, რაც ურთიერთ შორის დავა აქვთ 820 დესეტინა სახნავ ადგილზედ. აქნობამდის თიანელები სარგებლობდენ, მხოლოდ ეხლა კი თიანელებს ეს ადგილი მთავრობამ ჩამოართო, და ახლსოფლელებს გადასცეს. ბევრს ეცადნენ თიანეთის მუქთა ჭამია გლეხები, მაგრამ ვერა გააწყეს-რა. თებერვალში თიანეთელმა გლეხებმა ამოირჩიეს ორი კეთილ სვინიდისიანი კაცი, მისცეს სასოფლო ფული და გაგზავნეს ტფილისში, რათა მათ თხოვნა მიეცათ სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში. ხუთის დღის შემდეგ ეს «კეთილ სვინიდისიერნი» დაბრუნდნენ და თიანელებს დიდი იმედი მისცეს. ეხლა აღმოჩნდა, რომ ტფილისში სასოფლო ფულით ექეიფნათ და დანიშნულ ადგილას ფეხიც არ მიედგათ. ეხლა თიანელები დარჩნენ ცის ანაბარად.

შირაქიდგან მემცხვარე ფშაველები თა- [illegible] გულ-ნაკლულნი არიან. ერთმა მეცხვარემ მიამბო, რომ თითო ცხვარზედ გზაზედ საბალახე ექვს-ექვსი კაპეიკი დაიხარჯაო. მხოლოდ თელავიდგან თიანეთამდის კი ყველაზედ მეტიო. ეს მართლაც ესეა. თელავიდგან თიანეთამდის არის გაყვანილი სახელმწიფო გზა, რომელზედაც ხალხი დადის. ამ ხუთმეტის წლის წინად ეს გზა გადაკეთებულ იქმნა, რადგანაც ახალი გზა შორს უხვევს, ცხენოსანი და ქვეითი ამ ძველ გზაზედ დადის სიახლოვის გამო. ტყე, რომელზედაც ახმეტ-თიანეთის გზაა გაყვანილი, ეკუთვნის ახმეტელ, თიანელ და მატნელ მემამულეთ, ჰყავთ დაყენებული ტყის მცველები, რომლებიც უწყალოთ სცარცვავენ ხალხს და უფრო მეცხვარეებს. ამ გზებზედ დიდი ვაი-ვაგლახი ხდება. თუ მამულის პატრონები ამ მოკლე გზებზედ სიარულს უშლიან, ვალდებულნი არიან მცველები გზის თავში და ბოლოში დააყენონ და არა გზის შუა ადგილას. ან კი რა უნდა აზარალოს ტყის პატრონს ახმეტ-თიანეთის ქვა ღორღიან გზაზედ მიმავალმა ცხვარმა, ან მგზავრმა, მაგრამ მახლას!.. ანდაზაა: „ურია გაღარიბდა და ძველ ვალებს დაუწყო კრეფაო."

წელს თიანელი ინტელიგენცია მგლოვიარედ არის. ამის მიზეზი მეაგარაკეთა და ჯარის მოუსვლელობაა.

დათიკო გოგიაშვილი.

**სოფელი საჭილაო.** (სენაკის მაზრა). მაისმა უმზეოდ გაიარა ნისლსა და ღრუბელში, ივანობისთვეც მაისს მიემგზავსა. უამინდობამ ნათესები ძრიელ გააფუჭა. ჩვენში კიტრის მოყვანას ეტანებოდა მცხოვრები, რადგან ბაზარი ძრიელ დიდი ჰქონდა სამტრედიაში, მაგრამ წელს მაისის ავმა ტაროსმა წაახდინა, ჩასხილა და მატლები გაუჩნდა... ნამყენები და ხეხილები ხომ ზოგი გახმა და ზოგმაც ნაყოფი დაჰყარა, რადგან მაისის უმზეო ამინდები ვერ აიტანა. ვენახები ჩვენში ნაკლებად არის და, რაც არის, იმასაც არ უჩანს კარგი პირი, რადგან გაზაფხულზე მზიანი დღეები ჰქონდა. სხვა წვრიმალი ბოსტნეულობა ვერ არის ხეირიანი, მაგრამ ამას ვინ სჩივის, რომ ყანის მუშაობა ყოფილიყო ხეირიანი. ჩვენებურ ბედ-ხელ შეშლილ გლეხობას საზიარო ყანებში კიარა, თავისი საკუთრებაც დაურჩათ უთესი. ამ ტაროსში ჩათესილი სიმიდი უამინდობისა გამო ყვითლად ამოვიდა.

აქაურ აზნაურობის უმეტესობამ ხელი მოჰკიდა გადაღმა საკუთარ მიწების დამუშავებას და მეგობრულად გადიან გლეხებთან ერთად ყანაში სამუშავოდ და არ [illegible] მუშავოს შოვნას. თუმცა ზოგი აზნაური ირცხვენის გლეხის თვალ-წინ მუშაობას. ხოლო უმცირესი ნაწილი ჩვენებურის აზნაურობისა, დაწვრიმალებული ცოდნით და სინიდისით, სულით ეცემა და გვარის სამარცხვინო საქმეს სჩადის. მათ არ აინტერესებთ არც შორეულ აღმოსავლეთის ომი და არც რაიმე შრომის ხელის მოკიდება. მათი დროს გასატარებელია სამიკიტნო და არღანი. მათი მამული გამინდვრებული და უყანო რჩება. თუმცა ხანდისხან გაივლის მამულში და, თუ საქონელს შეხვდა, გარეკს შინ, ქალთაში დამწყვდევს და თითო-ოროლ აბაზს ახდევინებს პატრონს.

ჩვენებური სასწავლებლები ვერ არის კარგ ნიადაგზედ დამდგარი, მაგრამ ამაზედ მასწავლებლები როდი სწუხან, რადგან თავისას კი იღებენ და სხვას რას დასდევენ...

ყორანი.

## რუსეთი

ფოსტა ტელეგრაფის უწყებაში მოსამსახურე ქალებს უფლება მიენიჭათ წარმატებოდნენ სამსახურში და იღებდნენ იმ ჯამაგირს, რა რიგის მოხელესა და თანამდებობას რაც ჯამაგირი აქვს მიკუთვნილი. მიენიჭათ აგრეთვე უფლება მიიღონ თანამდებობა ფოსტისა და ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებათა, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქებს გარედ. დანიშვნისა, ერთის ადგილიდან მეორეზედ გადაყვანისა და აქეთ-იქით გაგზავნის დროს, უნდა მიეცეთ საგზაო ფული, რაც მიკუთვნებული აქვს თანამდებობას.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ლიბერალებს უხარიათ, რომ ამას წინად იმათმა კანდიდატმა გაიმარჯვა ხარბოროს საარჩევნო ოლქში და 400 ხმა მეტი მიიღო, ვიდრე 1900 წელს. მაგრამ საქმე ეს გამარჯვება კი არის; საქმე თვით არჩეული კანდიდატია. ეს კანდიდატია ფილიპე სტენგოპი, რომელიც დიდი მოწინააღმდეგეა ჩემბერლენისა და საზოგადოდ იმპერიალიზმისა. ოთხის წლის წინად მის სახელსა და სახსენებელსა სწყევლიდნენ ჩემბერლენის მომხრენი ყოველს მიტინგზედ. ამტკიცებდნენ, რომ მამულიშვილობისა არა სცხიარა, სამშობლოს უძღები შვილია, მოღალატეა.

მაშინ სხვა დრო იყო. ერთი საკმაოდ სახელ-გათქმული მწერალი სწერდა: როცა იმპერია შენდება, მის შენობას ვა- [illegible] სამართლიანია, ეს დანაშაულობააო. არის მაშინ მხოლოდ ერთად-ერთი მართლიერება, ერთად-ერთი უფლება, უფლება ძლიერისა, უფრო ნიჭიერისა, უნარიანისა. ძრიელი უნდა ბატონობდეს და ამას არა კითხულობდეს, სუსტსაცა სურს ეგ ბატონობა თუ არაო.

მღვდელნი და ეპისკოპოსნიც მაშინ ომის სიწმინდესა და საჭიროებას ჰქადაგობდნენ. ფილიპე სტენგოპს მაშინვე სისულელედ მიაჩნდა ეს ლათაიები და ჰგრძნობდა, რომ ყოველივე ეს იმიტომ დასჭირდათ იმპერიალისტებს, რათა გაეჭყლიტათ და გაენადგურებინათ ბურები. სტენგოპი გაბედვით და გულ-მხურვალედ ჰკიცხავდა ქვეყნების დაჩემებასა და დაპყრობის პოლიტიკას. ამტკიცებდა, რომ მთლად იმპერიის გადაქცევა სამხარ მანქანად, დიდი უბედურებააო. დაიწყო თუ არა სამხრეთ-აფრიკის დრამა, სტენგოპმა პირდაპირ გამოაცხადა, რომ ინგლისი მტყუანია ამ საქმეშიო, რადგან ბურების საწინააღმდეგო ომის სულის-ჩამდგმელი მაშინ ჩემბერლენი იყო, ამას შეებრძოლა სტენგოპიცა. ჩემბერლენმა იგრძნო, რომ სახუმარო მტერი არ გაუჩნდა და ყოვლის ღონის-ძიებით ეცადა მის დამარცხებას. სტენგოპი გააშავეს არჩევნებზედ 1900 წელს. «ტაიმსმა» სთქვა, რომ ეს არის გაქრა საპოლიტიკო კარიერა სტენგოპისაო, მოსწყდა მისი ვარსკვლავიო. მაგრამ, ბაირონის თქმისა არ იყოს, დრო ერთად-ერთი ფილოსოფოსი, რომელიც ამბობს მართალსა. გავიდა დრო. ომმა ჰკუა ასწავლა ხალხს. სასიამოვნოდ გასეირნება სამ წლის საშინელ ომად გადაიქცა და დიდი ფული და ღონე დაალუპვინა ყოვლად მდიდარს ინგლისს. ახლა მოვიდნენ გონს. მღვდელნი და ეპისკოპოსნი დადუმდნენ. დადუმდნენ ისინიც, ვინც ამტკიცებდნენ, მშვიდობა უბედურებაა, ხოლო ომი დიდი საუნჯეაო. არჩევნებზედ სტენგოპი, რომელსაც სამშობლოს ღალატს აბრალებდნენ, კვლავ აირჩიეს პარლამენტში დიდის ხმის უმეტესობით.

## ნარკვევი

ვ. ვ. სვიატლოვსკი «ნაროდნოე ხოზიასტვოს» უკანასკნელს წიგნში ამტკიცებს, რომ უმეტესობა ჩვენის სწავლულ ეკონომისტებისა საკმაო გულმოდგინებით არ ეკიდება რუსეთის საეკონომიო ისტორიის შესწავლასაო.

**ამ მხრივაო, —ამბობს ავტორი, —თითქმის მხოლოდ ერთი საინტერესო და შესანიშნავი თხუზულება არსებობს ბ-ნის მილიუკოვისა: Очерки по исторіи русской культуры. მილიუკოვის თხზულებაში საზოგადო სქემაა მხოლოდ რუსეთის განვითარებისა, ზოგად კულტურულის და არა საეკონომიო განვითარებისა. სოციალურ ეკონომიურ ისტორიას მილიუკოვმაც შედარებით ნაკლები ყურადღება მიაქცია. ეკონომიურს საგნებზედ მსჯელობს იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა საზოგადო სურათისათვის, ხოლო თვით ისტორია „საუკუნეთა სიღრმეში" არ მიდის და იწყება მხოლოდ მე-XVII საუკუნიდან.**

**ასეთია მდგომარეობა ჩვენის საეკონო-**

# ფელეტონი

**ჟურნალი.**

(საკვირაო გაზეთი).

წელიწადი მეორე.

№ 20.

**აახ!...-ვაახ!**

### XVI

საქველმოქმედო საღამო ერთს კერძო ოჯახში გაიმართა, სადაც თითქმის ყოველთვე იმართებოდა ასეთი «საღამო» რაიმე სახელით ვისიმე ანუ რისამე «სასარგებლოდ», მაგრამ თითქმის არასოდეს თავის დანიშნულებას კი არ ახწევდა. საზოგადოების მოსაწვევ ბარათებით იწვევდნენ, «საღამოებიც» ყოველთვის მხიარულად—ბანქობიანობით, ცეკვა-თამაშით, ღვინის ჩაყლურჭვით, ჩხუბით და, ხანდისხან, რასაკვირველია, ხმალ-ხანჯლების ტრიალითა და სკამ-ჭურჭლის ხრიალით თავდებოდა, რომ ზოგჯერ ეს ძალად მაცხონე «ქველ-მოქმედნი» პოლიციას არ დაექსაქსნა. ასეთს უსიამოვნებას მაინც არაფრად აგდებდნენ და «ქალ-ვაჟთა ბაზრობას» ყოველ თვე და თვე მართავდნენ ხოლმე.

ერთი ამ გვარი «საქველმოქმედო» საღამოთაგანი გახლდათ ჩვენის ქალებისა და კინკიბაძის მეთაურობით გამართული.

### XVII

„საღამო"-ში ბანოვანნი სასმელებს, თავზე გადასაყრელ წითელ-ყვითელ ქაღალდის ნაკუწებით სავსე კოლოფებს და სხვა და სხვა ტკბილეულ-ხილეულებს ჰყიდნენ; კინკიბაძე კი საბანქოვო ოთახსა და სცენას განაგებდა. თავის თავის გამოსაჩენად, «საღამოს» შინაარსის შესავსებლად და ვითომდა ხალხის სასიამოვნოდ ერთ მოქმედებიანი ვოდევილიც დანიშნა წარმოსადგენად და მთავარ როლსაც თითონ ასრულებდა; თან ფიქრობდა, ეხლა-კი «გაზეთები შემაქებენო». «საღამომ» მოსალოდნელზე უკეთესად ჩაირა; ჯერ ერთი: საღამოს თითქმის ყველა ჯურის ხალხი დაესწრო, რაიცა დამსწრეთ ამრავალფერებდა; მეორეც ახალგაზდა ქალ-ვაჟთ შემთხვევა ეძლეოდათ, რომ ცეკვისა და სეირნობის დროს ერთმანერთის გულ-გრძნობანი აეჩოჩქოლებინათ, ურთიერთის შეხებით მაინც დამტკბარიყვნენ... გახუნებული არშიყნი კვალად ეშხის ტალკვესს აკვესებდნენ, ხნიერი ქვრივნი ლოტოს შემომწკრივებოდნენ, და «ერთ საქმეში» იყვნენ; არც თუ მეოჯახე კაცები და წვერულვაშოსანი ბავშვები ჰყუჩობდნენ; ყველანი გაცხარებულ «შრომაში» იყვნენ გართულნი, მაგრამ ეს რა სათქმელია კინკიბაძის თამაშობასთან, რომელმაც თავის «არტისტობით» მაყურებლებზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ რამდენიმე ქალი გაუარშიყდა და ზოგიერთმა „შეიყვარა კიდეც", მაგრამ არშიყობისა და სიყვარულის პირველობა ლიზამ დაიჩემა, ვითარცა საღამოს მეთაურმა და მოხერხებულმა დიასახლისმა. შექებით თავგასულმა (ცხოვრების მცოდნე ბრძენნი მოგვახსენებენ, რომ ვითომც სულელ-რეგვენთ შექება ატუტუცებს და უარესად ასულელებსო) კინკიბაძემ გულიანად გადაჰკლურჭა, შექეიფიანდა და მარჯვნივ-მარცხნივ ყველა ბანოვანთ ქათინაურებით ამკობდა. «საღამო» გათენების ხანს დამთვრალთა ჩხუბმა დაამბოლოვა. ყველანი დაიშალნენ. ლიზა კინკიბაძემ გააცილა.

### XVIII

— არასოდეს ესე მოწყობილი «საღამო» არ მინახავს, დაიწყო ლიზამ.

— აბა, სადაც თქვენისთანა დაუღალავი «ხაზიაკა» იქნება, ელიზავეტა პაატოვნა, რასაკვირველია, საღამოც უკეთესად ჩაივლის, მიუგო კინკიბაძემ ულვაშების ბზეკით. მე, **конечно**, ბევრი მოღვაწე და მუშაკი ქალი და კაცი მინახავს, მაგრამ... (მაპატიეთ, მე პირდაპირობა მიყვარს, პირდაპირ მოგახსენებთ) თქვენისთანა კი არავინ...

— სტყუით, სტყუით!—მიუგო ლიზამ ვითომდა გულ უბრიყველო კილოთი და თან გულში სიამოვნება—«ქსელში კიდევ ერთი მოარშიყე გავაბიო»—ჩემი მიზეზით კი არ ჩაიარა ამ საღამომ ასე... ასე... **восхитительно**, არამედ თქვენის, თქვენის... **представьте себѣ**, ამდენი ხანია **(но не часто)** ქართულ თეატრში დავდივარ, როცა აბაშიძე, ან მესხიშვილი თამაშობს, ან «ბენეფიციანტი» ბილეთს გამოგვიგზავნის ხოლმე, და არავის ისე საუცხოვოდ არ შეუსრულებია ეგ როლი, როგორც თქვენ... თქვენ ნამდვილი, ნამდვილი... **однимъ словомъ**, იყავით ის, რაც უნდა ყოფილიყავით...

ეს ქათინაური კინკიბაძეს არ ეუცხოვა, მით უმეტეს, რომ თვითონაც სწორედ ამ აზრისა იყო თავის თავის შესახებ და ახლა გუნებაში იმას-ღა ითვალისწინებდა, თუ გაზეთები როგორ მოიხსენიებდნენ ამის თამაშს: «ერთიც ვნახოთ, გაზეთში სწერია: კინკიბაძემ საუცხოვოდ ითამაშა, უდიდესი სასცენო ნიჭი გამოიჩინა... ჩვენს სამშობლო სცენას კიდევ ერთი უდიდესი ნიჭი შეემატა; გარდა ამისა, კინკიბაძე მით უმეტეს ქების ღირსია, რომ სახალხო სარბიელზე მოქმედობს... სახელი და დიდება მას, ვინც თავის აზრს და სიტყვას საქმითაც ახორციელებს»... ამ სიტყვებს კინკიბაძე თითქო ნამდვილად გაზეთში კითხულობსო, იმდენად იყო დარწმუნებული თავის თავის უღრესობაში...

— ქვეყანას რომ ეთქვა ეგ სიტყვა, მიუგო კინკიბაძეს,—ისე არ მესიამოვნებოდა, როგორც თქვენგან, ელისავეტა პაატოვნა.

— მითომ რატომაო? ნუ თუ ეგრე აფასებ ჩემს აზრს?

— ოღონდაც!... თქვენ... რა ვქნა, მეშინიან, არ გაწყენინოთ,—თუმცა კინკიბაძეს, ისედაც თავახსნილს და გაბედულს, გულის თქმათა გამოაშკარავებას ბახუსიც ხელს უწყობდა, მაგრამ მაინც ეშმაკურად თავს იმელიავებდა, თითქო ვერ უბედავსო.

— ბრძანეთ, ბრძანეთ! — ეშმაკურად წააქეზა ლიზამ.

— თქვენი ნებაა, ელიზავეტა პაატოვნა! **Вы моя Богиня**, ჩემი ანგელოზი ბრძანდებით... **однимъ словомъ**, ყველა ის, რომელიც... რომელიც კაცს აბედნიერებს...

— ეგ ჩვეულებრივია... ჩვეულებრივია... ყმაწვილი კაცები აგრე ელაპარაკებით უმანკო, გასათხოვარ ქალებს!—მიუგო ლიზამ და თან თვალები დასაკრულავად შეანათა.

— **О, вѣрьте, вѣрьте, мнѣ...** ენდეთ ჩემს გულს, რომელიც ამ დღიდან გაუქრობელი ცეცხლით იწვის...

— **Все тоже, все тоже!** ეგ სიტყვები არა ერთისაგან გამიგია!—მიუგო ლიზამ,—ბევრი, ძრიელ ბევრი, **молодой человѣкъ, ухаживаетъ за мною...** მეთაყვანებიან, სტუდენტი გინდა, **акцизный чиновникъ**-ი, ადვოკატი, და, **представьте себѣ, даже семенаристъ** («სემენარისტი» ცოტა არ იყოს დაცინვით წარმოსთქვა), მაგრამ... რა საჭიროა ამაზე ლაპარაკი?

«მესმის»,—გაიფიქრა კინკიბაძემ,—«მაგითი მახეში ვერ გამაბამ».

ლიზამ კი თავის მხრივ გულში გაიფიქრა: ჰე, თვალები აგიხვიე, თუ ვერაო!».

— სჩანს, მე მართალი ვყოფილვარ,— უთხრა კინკიბაძემ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ყველას ერთად ჩემსავით არ ეყვარებით!

ეს ბოლო სიტყვა კინკიბაძემ ხაზგასმით «წამოისროლა»!

გზა და გზა კინკიბაძემ და ლიზამ ურთიერთზე ბლომა «სუხარი გაახმეს», ერთმანერთი მახეში გააბეს. ლიზა ფიქრობდა—ამას კი უეჭველად კისერზე მოვეხვევიო. კინკიბაძე კი—ერთს თვეს მაინც ხელიდამ ვერ წამივაო, ბევრი ამისთანა ქალი გამისულელებიაო.

უსუფ უმუთ-ოღლი.

## ჩვენებური ამბები.

**ქ. გორი.** თხა რო სამგლეთ გახდაო, იმის საქმე წახდაო. გორსაც სწორედ ასე დაემართა. ჰქონდათ როდისღაც გორელებს სასეირნო ბაღი, ესენიც ატარებდნენ როდისღაც მხიარულად დროს, მაგრამ ყველა ამბებმა ჩაილუღის წყალი დალია. მოითხოვა მტკვარმა «პლანი», წაართვა გორელებს ბაღი და დასტოვა ხახამშრალნი.

შემდეგში, მტკვრის ჯიბრით, გორის «გალოვამ», ხმოსნების თანხმობით, აიღო იჯარით ლიახვის ალაგი და გააშენა საუცხოვო ბაღი იმ პირობით, რომ გაზაფხულობით ლიახვსაც ნება ჰქონდეს იქ სეირნობისა. თვით ბაღი მშვენივრად მოწყობილია: დარგულია წვრილი ეკალა ჩირგვები, მოკირწყლულია სასეირნო ქუ-

მით ისტორიისა. ასეთი მდგომარეობა არ შეესაბამება ჩვენის საისტორიო მეცნიერების მდგომარეობას. საისტორიო მეცნიერება ჩვენში ძალიან რიგიან ყოფაშია. როგორც უწყით, ჩვენ გვაქვს რიგიანად შემუშავებული ისტორიოგრაფია, დაბეჭდილია აურებელი ძველი მასალა, შედგენილია უვრცელესი მიმოხილვანი საპოლიტიკო ისტორიისა უძველეს დროიდან დღემდე, ყოველ წლობით მდიდრდება რუსეთის არქეოლოგია, არქივ-მეცნიერება, ასობით მსწავლულნი იკვლევენ რუსეთის სიძველეთა, იურიდიულსა და ლიტერატურულსა, ხელოვნების ნაშთებსა და ძეგლთა რუსეთის წარსულს, ისტორიას.

რაიცა შეეხება რუსთა ერის სამეურნეო ყოფა-ცხოვრების დაწვრილებულ ისტორიას, ეკონომიურს ისტორიას, რომელიც არის ერთად-ერთი მტკიცე საფუძველი აწ მყოს გასაგებად და მომავალის განსაჭვრეტად, აი სწორედ ამ საგნის შესასწავლად არა კეთდება-რა. ვისი ბრალია ესა? რასაკვირველია, ჩვენის ეკონომისტებისა, იმათის მიმართულების უნიადაგობისა და ურთმელობისა, განუუნებულობისა. ძალსა და ღონეს ძველ თეორიების მომუშავებასა და გადახალისებას ანდობენ და ამ მუშაობას-კი ერიდებიან, არქივებში კვლევა-ძიებას განზეუდგებიან, უფრთხიან. მაშინ როცა, თუ წინასწარი გულ-გასაწვრილებული შრომა არ იქმნა გაწეული, თუ არ ჩაიყარა საძირკველი, უიმისოდ შეუძლებელია აგება საუცხოვოდა შედგმულ შენობისა, დამთავრებულ აზრთა დასკვნა.

ესეთი უნიადაგობა და გულ-გრილობა ჩვენის ეკონომისტებისა რუსეთის ეკონომიურ ისტორიის მიმართ მით უფრო შეუწყნარებელია, რომ სწორედ ეკონომიურ ისტორიის შემუშავება ფრიად მდიდარი და უთვლად საინტერესო სამეცნიერო სარბიელი გამხდარა დასავლეთ ევროპაში. ევროპიის ეკონომიური ისტორია იშვიათი ლიტერატურაა თვისის სივრცითა და მნიშვნელობით. ამ ჟამად სამეურნეო წესწყობილება დასავლეთ ევროპისა წარსულ საუკუნეთა განმავლობაში აღდგენილ იქმნა მსწავლულთა მიერ ისეთის დაწვრილებით, რომ ყოვლად ადვილია გაითვალისწინოს ადამიანმა საფუძველნი დღევანდელის წესწყობილებისა, მიჰხვდეს, როგორ წარმოსდგა, რა ხასიათი აქვს და რა არის-ხელ-მძღვანელი დედა-აზრი ჩვენ თვალ-წინ გაშლილ სოციალ-ეკონომიურ მოვლენათა, ესე იგი ადვილია, ცოტად-თუ ბევრად განსჭვრიტოს, აჰხადოს ფარდა და ცოდნის თვალით მაინც დაინახოს ადამიანმა იდუმალების სავსე მომავალი...

სამწუხაროა, რომ რუსეთში საპოლიტიკო ეკონომიით ისტორიულმა მიმართულებამ მტკიცედ ვერ მოიკიდა ჯერ ფეხი. დროა, დიდი ხანია დროა აღვადგინოთ გონების თვალ-წინ ჩვენი წარსული ეკონომიური ცხოვრება და სათვალ-და-თვალოდ განვმარტოთ, როგორ წარმოიშობა დღევანდელი სამეურნეო წეს-რიგი რუსეთისა. მხოლოდ ამას შემდეგ გამოირკვევა, რა არის „ძველი“ და რა არის «ახალი», რა არის ჭეშმარიტად ისტორიულად შექმნილი და რაა ძალდატანებით თავზე მოხვეული, როდის ვითარდებოდა რუსეთი ბუნებრივად და რა ვითარებასა და გარემოებათა შორის შეიძლება მისი ეკონომიური გადახალისება. ეს რომ მოჰხდება, მერე შესაძლებელი შეიქმნება სიმართლით და სისწორით იმსჯელოს კაცმა რუსეთის საეკონომიო ბედ-იღბალის შესახებ.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ივნისი.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინისა მისს უდიდებულესობის სახელზე 17 ივნისს თარიღით:» 15 ივნისს სადგურ დაშიჩაოს მიდამოებში და სიუიანისაკენ მიმავალ გზაზე მოულოდნელად მოვიდა თქეში, რომელმაც წალეკა ჩვენი ჯარების სადგომები. იაპონელნი, თუმცა მძიმედ, მაგრამ მაინც მოდიან წინ აღმოსავლეთ და სამხრეთ ფრონტებისაკენ. სამხრეთის ფრონტებისაკენ შევნიშნეთ იაპონელთა ჯარების წინ წამოწევა კუროკის ლაშქართან შესაერთებლად. როგორც დალინის მხრის დაზვერვამ აღმოაჩინა, იაპონელებს რაოდენადმე დაუწევიათ წინადღით დაჭერილ პოზიციებიდან. ფინხუანჩენის მხრიდან მოგვივიდა ამბავი, რომ 16 ივნისს იაპონელები მძლავრად წამოვიდნენ წინ უფანგუანისა და ლიახოლინის უღელტეხილისაკენ. წვიმიანი ავდრები ისევ არის.»—დეპეშა გენერალ ჟილინსკისა სამხედრო მონასტრთან 17 ივნისით:» პორტ-არტურიდან შემდეგი ცნობები მივიღეთ: „11 ივნისს იაპონელები ყოველ ადგილებზე საქმეს შეუდგნენ. იმათ იერიში მოიტანეს, რომ წართმეული მთა ულაიცეილაზი უკან დაებრუნებინათ, მაგრამ უკუ აქციეს და პირიქით ჩვენებმა დაიჭირეს სოფელი ბეიხოგოვუ, მარცხენა ფრთედის წინააღმდეგ ძრიელი სროლა ასტეხეს შორიდან. ღამე 11—12 ივნისს მტრის ნაღმოსნები კვლავ მიადგნენ ციხესა« 13 ივნისს 4 საათიდან დილისა მტერმა ნავსადგურ სიაობინდიოდან გემებიდან დაუწყო სროლა ყველა ადგილებს ნავსადგურის სამხრეთად ულაიცეილაზის მთამდე, მერე იერიში მიიტანა ჯერ მე-13-ე სიმაღლეზე, შემდეგ 129-ზე, რომელიც 20 ვერსზე არის პორტ-არტურიდან. ამ უკანასკნელზე იერიში მოიტანეს შუბლიდანაც და ზურგიდანაც, რისთვისაც ცოტა ჯარიც გადმოსვეს. ორივე სიმაღლეები ეჭირათ თავისუფალ მსროლელებსა. უკუ აქციეს სამი იერიში; დიდი ზარალი ნახეს, ამიტომ ავიდნენ ლუნვანტანის სიმაღლეზე, 13 ვერსზე პორტ-არტურიდან. ამ პოზიციის წინააღმდეგ იერიში ერთმა დივიზიამ მიიტანა. ყველა იერიში უკუ აქციეს. $3^1/_2$ საათზე დღისით იაპონელნი გაჩნდნენ პორტ-არტურის შუა გზაზე დიდის ჯარითა და იერიში მიიტანეს ხუინსანის მთაზე, 20 ვერსზე პორტ-არტურიდან. თავისუფალმა მსროლელებმა და ორმა როტამ, რომელთაც ეს ადგილი ეჭირათ, რადგან მტერმა შემოუარა ზურგიდან, უკან დაიწიეს დიდის ზარალითა. ჩვენმა ნაღმოსნებმა რამდენადმე გვიშველეს, რადგან ესროდენ ნაპირს, სადაც მტერი იდგა. ჩვენი ზარალი: დაჭრილია შვიდი აფიცერი, 200-დე ჯარის კაცი დაკვაკლდა. მიწაში ჩაწყობილი ნაღმები თავის დროზე ავაფეთქეთ და 50-მე იაპონელნი ჰაერში აიტაცა. იმათი ზარალი დიდი უნდა იყოს. უკანასკნელ ამბებიდან სჩანს, რომ დიდი ჯარი მიდის მტრისა დალნიდან სოფელ სუანცანგუსაკენ, რკინის გზით, 20 ვერსზე პორტ-არტურიდან, და სუანსანის მთისაკენ. 14 ივნისს მოწინავე რაზმებს სროლა ჰქონდათ. ლუნვანტიანის მთის ბექობებზე იაპონელნი ბატარეიებს სდგმენ. ჩვენი ნავები გუშინ მოადგნენ ლუნვანტიანს და ნაპირს სროლა დაუწყეს. ღამე, დღესა, ციხის ზარბაზნებიდან ესროდენ ნაღმისან გემებსა».

**პეტერბურგი.** დეპეშა რუსეთის კონსულისა ინკოუში 19 ივნისის: «ემსათში მოვიდა პორტ-არტურიდან ნაღმოსანი «ლეიტენანტი ბურაკოვა». ადმირალ ტოგოსაგან გამოცხადებული ამბები 10 ივნისს ბრძოლის შესახებ მოგონილია. ჩვენი გემები უვნებლად გადარჩნენ. ფიქრობენ, რომ ერთი იაპონელთა ნაღმოსანი ჩაიძირა და ორიც ძალიან დაზიანდა,

**ვერხნეუდინსკი.** ვერხნეუდინსკის ახლო გამართეს თავშესაფარი სათნოების დათა დიდის მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასულს მფარველობითა 15 პანსიონერისთვის. დამფუძნებელია ვტოროვისა.

**ბაქო.** თეირანიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ იქ ხოლერამ იჩინა თავიო.

**ძიევი.** 13 ივნისიდან ყოველ დღე საგუბერნიო კრებებია გლეხთა შესახებ. მიიღეს შემდეგი დადგენილებანი: სოფლის სამამასახლისო საზოგადოებაში უნდა იყვნენ ყველა წოდების წარმომადგენელნი, ვისაც კი უძრავი საკუთრება აქვს; ყველა მინდვრის და სახლკარ ბინადრობის მიწები ერთის კაცის საკუთრებას შეადგენს და არა მთელის კომლისას. სასოფლო სასამართლო საჭირო აღარ არის, ყველა მისი საქმეები გადაეცეს მომრიგებელ მოსამართლეს. თუ ეს სამათალი დარჩება, მაშინ მოქმედება მაინც სასურველია შეიზღუდოს, და ყველა დავა მამულის და ქონების შესახებ დაექვემდებაროს სამოქალაქო კანონებსა. კოდექსი გლეხთათვის საჭირო არ არის.

**ცეტინიე.** მემკვიდრე პრინცის დანიელის დაბადების დღეობაში. დიდი პარადი იყო ჯარებისა. მთავარმა ნიკოლოზმა წაიკითხა დეპეშები, რომელიც გაუგზავნა სერბიის მეფეს კოსოვის ძეგლის ამართვის გამო და რომელიც მიიღო მისგან. თან წარმოსთქვა სიტყვა და აღნიშნა, რომ დღეს, რუსეთის შემწეობის წყალობით, სერბია და ჩერნოგორია, თუმცა ხელმწიფებრივის მხრივ განყოფილნი არიან, გული და გრძნობა გაერთიანებული აქვთ.

**მოსკოვი.** მოწოდებულ იქმნა საგანგებო საგუბერნიო კრება, იმ გლეხთა საშველად, რომელნიც დაზარალდნენ გრიგალისაგან. სამაზრო საერობო გამგეობამ პური გაუგზავნა დაზარალებულ სოფლებს. ზარალი თურმე მეტად დიდია. მთელი სოფლები მიუთქერ-მოუთქერია. მრავალია დამახინჯებული; ათობით არიან მოკლულნი. ქალაქის თვით მმართველობამ გადასწყვიტა დაზარალებულ მცხოვრებთ ქალაქში მისცეს ოცოცი და ხუთი მანეთი და მეტიცა.

**პეტერბურგი.** დეპეშა გენერ.-ადიუტ. ალექსეევისა მის უდიდებულესობის სახელობაზედ 17 ივნისს თარიღით: «პორტ-არტურის ესკადრის დროებითი უფროსი იწერება: 10 ივნისს გავგზავნე 8 ნაღმოსანი რეიდის დასაცველად; 7 მილის მანძილზედ ამ ნაღმოსნებმა უკან დააწევინეს მოახლოვებულ მტრის ნაღმოსნებს. ამ ბრძოლაში სუბუქად დაიჭრა კაპიტანი მე-2 ხარისხისა ელისევი, ლეიტენანტი სმირნოვი მესამე და 2 ჯარის კაცი. დილით ყველა ნაღმოსნები უკანვე დაბრუნდნენ. დილის 8 საათზედ რეიდზედ გავიდნენ ზედ-მიყოლებით «ნოვიკი», «დიანა», «ასკოლდი», «სევასტოპოლი», «პოლტავა», «ცესარევიჩი», «პობედა», «პერესვეტი», «რეტვიზანი», «ბაიანი» და «პალადა» და გაჩერდნენ. რეიდზედ დაინახეს ორი მცურავი ნაღმი იაპონელთა. ამიტომ ესკადრა არ დაიძრა. ამდროს სხვა პატარა ნაღმის მფოჩხავმა გემებმა იპოვეს და ააფეთქეს 10-მდე ნაღმი, რომლებიც გამოძიებით აღმოჩნდა, ღამე თუ ჩაჰყარეს მტრის მოახლოვებულმა ნაღმოსნებმა. ნაშუადღევის 2 საათზედ ესკადრამ წაიმძღვარა წინ მფოჩხავთა ქარვანი და სთარეშო გემი „ნოვიკი“ და გაემართა ზღვაზედ, გაიარა მშვიდობით 6 მილი. ამ დროს ჩვენ ვხედავდით იაპონიის ორს მზვერავს გემს და ნაღმოსანთა რაზმს. ნაპირიდგან 20 მილის მანძილზედ დავინახეთ, რომ მოდის ჩვენის გზის გადასაჭრელად იაპონიის ფლოტი. მოახლოვებისას გავარჩიეთ 4 ჯავშნიანი გემი პირველ ხარისხისა და 5 სთარეშო მესამე ხარისხისა, 1 მზვერავი გემი და ერთიც ისე გემი და ამათ გარდა 30 ნაღმოსანი, ორს რაზმად გაყოფილი. რომ მოახლოვდნენ, შევამჩნიეთ, რომ ერთი რაზმი გემებისა მტერს უნდოდა დაეტოვებინა ჩვენს ესკადრასა და ზღვის ნაპირებ შუა, რათა ღამე ნაღმებით იერიში მიეტანა და დაეზიანებინა ჩვენი გემები, ხოლო დღისით თავს დაგვესხმოდა საბრძოლოდ მთელი ფლოტი მტრისა. რაკი მთელი ძალ-ღონე მტრისა ერთად იყო მოკრეფილი და ბევრად აღემატებოდა ჩვენს ძალ-ღონეს, გადავსწყვიტე პორტ-არტურს დავბრუნებულიყავ და მერე გარემოებისამებრ მომექმედნა. ვგონებდი, რომ ასეთ საქციელს ბევრად უფრო ნაკლები ზარალი მოჰყვებოდა. საღამოს 7 საათზედ ესკადრა უკან გამობრუნდა. მტერი არ ეცადა მოახლოვებულიყო, ან ხელი შეეშალა. საღამოს 10 საათზედ ესკადრა რეიდს მოუახლოვდა. ბოლოში მომავალს ხომალდებზედ ორჯერ მოიტანეს იერიში ნაღმებით, მაგრამ ვერა დააკლეს რა. რეიდზედ, თუმცა მთვარიანი ღამე იყო, რამდენჯერმე კიდევ მოიტანა ნაღმიანი იერიში გათენებამდე, მაგრამ უკუ ვაქციეთ. დილით გემების მახლობლად ვიპოვეთ 12 ნაღმი უაიტხედისა, შორიდან ნასროლი მტრისაგან, რადგან ახლო არ მოვუშვით. ნაღმოსნები მოდიოდნენ საიერიშოდ ჯგუფ-ჯგუფად. ჩავაძირეთ ზღვაში არა ნაკლებ ორისა. დილითვე გარიყა ნაპირას გვამნი ერთის იაპონელთა აფიცრისა და ორის მეზღვაურისა იერიშების უკუ-ქცევა ზარბაზნებს გარდა გაგვიადვილა ნაპირის პროჟექტორებმა. დილით ყველა გემები ნავთსადგურში შევიდნენ.

**ჩიფუ.** (რეიტერ. აგ.) იაპონელებმა გადმოიყვანეს ელიოტის კუნძულზე ცალკე დივიზია 10.000 კაცი, რომელიც უნდა მიეშველოს გენერალ ნოგის პორტ-არტურის წინ. იაპონელებს ამ ჟამად ჰყავთ ველად 180.000 კაცი.

**სეული.** (რეიტერ. აგ.). გენზანიდამ იუწყებიან, რომ ვლადივოსტოკის ესკადრის იერიშის მიტანის დროს ორი კორეველი და ორი იაპონელი დაიჭრა, ორი სადგომი სახლი დაიწვა. იაპონიის საელჩოს ყუმბარები მოხვდა, მაგრამ ცოტად დააზიანა. დიდის წვიმის გამო არ შეიძლებოდა გაეგოთ, საით წავიდა რუსის ესკადრა.

---

ჩები კლდითა და ლოდებით, აღაგის გასაპატიებლად დაყრილია სხვა და სხვა ჯიშის დახოცილი ცხოველები და გაკეთებულია წუმპის აუზები. ჩრდილოეთის მხრივ შემორტყმული აქვს ცხენის ფეინის ღობე, რის წყალობითაც ტრიალებს საყნოსველად საამო ჰაერი. ქალაქის ხარჯით დაქირავებულია და ყოველ საღამოთი უკრავს ბაყაყების «ორკესტრი.» ბაღის მისავალში დგას წვიმის ტბა და ხალხის გადასაყვანად მუდამ მუშაობს ბათირა ბიჭის ნავტიკი.

ოჰ. ნეტამც თქვენს ბედნიერ ოვალს აჩვენა, მკითხველო, ქალაქის ბაღი, რომ შეიტყოთ, თუ რა ხალხის ხელში ჩავარდნილა გორის სვე-ბედი! მხოლოდ მაშინ დარწმუნდებით, თუ რა მიზეზია, რომ ეს ქალაქი კიბოსავით უკან უკან მირბის მამაცურად.

სავმელა წყარო.

## კინტოს გოდება.

კინტომა სთქვა, რა დრო დადგა:
ეხლა, ვაი, ჩვენი ბრალი
თაბხის მაზანდა დაეცა,
„ტაჭკით“ დამაქვს თუთა-ბალი,
იმით დამაქვს ყოველ გვარი
დედამიწის მოსავალი,
და ეხლა კი თაბახს იდგამს
ბოსტნეულით ჩვენი ქალი
ვიდრე თაბახს ვატარებდი,
არავინ არ მოშეკარა,
ვისაც ვსთხოვე სიყვარული,
ახლოც კი არ გამიტარა:
«კინტო ხარო, მომაძახა,
ზედ ქოქოლაც მომაყარა.
გასწი იქით, დაიკარგე!
მანახეო შენი ცალი
ეხლა კი თვით კინტოობს
თაბახს იდგავს „მოდის“ ქალი.
თუ კინტუად ცუდი გიჟაჲ,
ქალები რად კინტოობენ,
და თუ მოსწონთ კინტოობა,
მაშ, რატომ არ მიყვარებენ?
რად დასდევენ კაკარდოსნებს,
მუსაიფით აბეზრებენ?
მე შორიდგან მათის ცქერით
მიცრემლდება თითქმის თვალი;
ჩემს ხელობას რისთვის მართმევს
და ლუკმა პურს მე ის ქალი...
რომა ნახოთ ბულვარდზედ
კატია, საშა, ნინა, ოლგა
იმათს შლიაპებს დააკვირდეთ,
გეგონებათ წვიმის ქოლგა,
თაბხებსაც კი ედარება—
«ეტო ვმოდე ბუდეტ დოლგა»...
«თასაკიც» [1]) აქვს მშვენიერი,
თავის თმისვე საკუთარი'
ხელთ უჭირავს «რიდიკული»
ამით არის დახლიდარი.
არა ვცრუობ, დამერწმუნეთ,
ღმერთი, რჯული, ხატი, ჯვარი!...
შიგ ქაღალდი, კარანდაში...
ვის რა ერთი აქვს ვალი,
სწერავს გასულს, შემოსულსა—
ესე ვაჭრობს ზოგი ქალი.
თუმც სასწორი თან არ დააქვს,
მის მაგივრად აქვს «საჟამე», [2])
გრძელი ჯაჭვით ჩამოუბავს
კომპასი და ზედ სხვა რამე
ის მაშინვე, მიგიხვდება,
თუ რამდენის ხილი სწამე.
მაგალითად, წავულაკი [3])
ლელვის ჩირი, «სოჩნი» მსხალი,
ან კიდევ აბრიკოსი,
მასთან შპანცკის ალუბალი...
ჩემგან ვიდა რას იყიდის...
«ტაჩკას» დავსდევ მე საწყალი...
რა თქმა უნდა, ფულს მოიგებს,
დიდ მლიაპით გოხტა ქალი!...

განჯის-გარელი.

[1]) თაბხის თავზე დასადგმელად დაკეცილი ტილო.

[2]) საათი.

[3]) მწვანე ნუში.,

## საკვირაო გაზეთ „შურდულს“

რა გაგვიხდა ეს შურდული,
ნეტავ რაა ამისთანა?!
ყველას თავზე გაკაკანს ამტვრევს,
ცრემლებს ადენს თვალიდანა.

რა გაგვიხდა ეს შურდული,
ნეტავ რაა ამისთანა!...
ყველას სიტყვას პირში უწყვეტს,
თვით ცეკვლსა წვრის პირიდანა.

რა გაგვიხდა ეს შურდული,
ნეტავ რაა ამისთანა!
თვით ბუნებას არა ძალუძს
ტყორცნა მეხის ამისთანა.

რა გაგვიხდა ეს შურდული,
ნეტა რაა ამისთანა!
თვით ბობოქრობს, მედიდურობს,
არვის იდრის თავისთანა.

რა გაგვიხდა ეს შურდული,
ნეტავ რაა ამისთანა!
ყოველ კვირა მოზუზუნებს,
მივგვირს, რით ვერ დაიცალა.

რა გაგვიხდა ეს შურდული,
ნეტავ რაა ამისთანა!...
მტერი დაჰხვდა, თუ მოყვარე,
ყველანი თან გაიტანა.

რა გაგვიხდა ეს შურდული,
ნეტავ რაა ამისთანა!
ვისაც მოხვდა მის ნატყორცნი,
ყველამ თავი მოიფხანა.

რა გაგვიხდა ეს შურდული,
საიდან ვინ მოიტანა?
ზარბაზანიც ვერას აკლებს,
ვინ «შურდული» ამისთანა!

ვასო თუმანაშვილი.

## წერილები.

ქალაქის თვით მმართველობას გადაუწყვეტია «პოსობიების» მთხოვნელები ყველა დააკმაყოფილოს სიტყვიერად. ამის გამო «შურდულის» რედაქციამ მიიღო შემდეგი ცნობები:

I

ბ-ნო რედაქტორო!

ამ ორის წლის წინად დედაჩემი სულთმაბრძოლი შუვანდა; შევეხვეწე, შევევედრე მმართველობას «პოსობია» დაენიშნათ. ამისარულეს, გამეხარდა...

დედა დავმარხე, გამოვიმგლოვე კიდეც, აგერ ორი წელიწადია და ფულიკი... ღმერთმანი არ მიმიღია.

უმცროსი მოსამსახურე.

II

ავადმყოფობისა გამო პენსია დამინიშნეს. ვიდრე ცოცხალი ვიყავი, მიმშილით სული ამომხდა, აწ აბრაამის წიაღთა შანა ვარ და მიშუამდგომლეთ, იქნება აქ გამომიგზავნონ ჩემი პენცია.

ქალაქის მებაღე.

III

ავადმყოფობისაგამო «პოსობია» დამინიშნეს, მეორე დღესვე მივიღე. ეხლა კარგად ვგრძნობ თავს; წელი უფრო გამიწვრილდა, მკერდი გამიგანიერდა, საუცხოვო პირის ფერი მაქვს, მადა კარგი; ტუჩები მარჯნის ფერი. დიდს მადლობას ვუძღვნი ქალაქის გამგეობას *)

ბანოვანი.

ნამდვილთან თანასწორ არს: ჭიტა.

## «შურდულის» დეპეშები.

(„შურდულის“ დეპეშათა სააგენტოსაგან).

**ტფილისი.** ქალაქის გამგეობამ «კონკის» ლიანდაგთან კაცები დააყენა დიდი ლურსმით თავმოჭედილ კომბლებითა, რომლითაც «კონკის» ცხენებს ერეკებიან. ავჭალის «კონკის» პატრონს ბორჯომიდან ორი ვაგონი კომბალი დაუბარებია.

**გორი.** საქალაქო ბაღს კუდი გამობმია.

**ცხინვალი.** საზაფხულოდ მოსულმა დამა-კავალერებმა ცხინვალის ხიდზე იერიში მიიტანეს. ხიდს დიდი ზარალი მოუვიდა: გაცვდა და გამკეთებელი არავინა სჩანს.

(ჭიტას სააგენტოსაგან).

**საგარეჯო.** ჩვენს დილიჟანებში საშინლადაა გავრცელებული არშიყობა. ამბობენ, იმდღეს იერიში მიიტანა დილიჟანზე ერთმა წვერცამეტმაო, მაგრამ ისეთი ალიყური მიართვეს, რომ თვალთხევისკენ დაიხიაო.

**კონდოლი.** მშვენიერის მეტოდით ასწავლის აქაური მასწავლებელი ქალი არყის სმას. ღვინი'ა სმის წინააღმდეგია; შეიძლება მეორე დღეს თავის ტკივილი მოჰყვესო.

*) ამბობენ, ისევ მიიღებენ სამსახურში, თუ კი იკადრებს და ითხოვს ალაგსაო.

ასოთ-ამწყობი.

**ლიაოიანი**. ყველა მთის გადასავლებიდამ იაპონელებმა უკან დაიწყეს. სჩანს, ლიაოიანისაკენ გამგზავრება დემონსტრატიული იყო რათა დაეფარათ ფრთედით წინსვლა ოკუსა და კურკის ჯარებისა ფინხუანჩენისაკენ. აზრი ამ მოძრაობისა ის იყო, რომ სამხედრო ბრძოლის ველი კორეისაკენ გადაეტანიათ, რადგანაც რუსის ჯარი მატულობს და იაპონელებს შეეშინდათ კვანტუნის ნახევარ-კუნძულზე არ მოგვამწყვდიონო. როგორცა სჩანს წვიმები კვლავინდელზე ადრე დაიწყო.

**ბერლინი**. როგორც ახლა აღმოჩნდა, იაპონიის ოფიციალური მოხსენება, ვითომ პორტ-არტურთან ერთი რუს ჯავშნიანი გემი დაიღუპა და სხვა გემებიც ძალიან დაზიანდნენო—ტყუილია. აქაური გაზეთები აღნიშნავენ, რომ უწინ იაპონია მართალს ცნობებს იძლეოდა და სამწუხაროთ ამ ჟამად ეს ცნობები ამ თვისებას მოკლებულნი არიან.

**ნიუ-ჭუანი**. (რეატ. სააგ.). გემი «ლეიტ.» «ბურაკოვი» პორტ-არტურიდგან გასულა ჯანყისა და წვიმის დროს. როდესაც ჯანყის შემდეგ იაპონელებმა დაინახეს „ბურაკოვმა“ იმით დაახწია თავი, რომ მსწრაფლ-მავალია.

19 ივნისი.

**პეტერბურგი**. დეპეშა გენ.-ადიუტ. კუროპატკინისა მის უდიდებულესობის სახელობაზედ 17 ივნისის თარიღით: «კუროკის ლაშქარმა არამც თუ შეაჩერა ოტება ჰაიჩოუსა და დაშიჩაოსაკენ, არამედ ნაწილი იაპონელებისა, რომელიც მიიმართებოდა ქხანძიდან სიანდაისკენ, მიდის ისევ ქხანძისკენ. სიუიანის გზაზე სოფელი მადიავაიზი ჩვენებმა დაიჭირეს. ჰაიჩოუს სამხრეთის გზაზე ჩაპანლინის გადასავალთან იაპონელების უკან დაწევა ვერ შევნიშნეთ. ჩვენი ცხენოსანი ჯარი სენიუჩენის მხარეზედ ისე შეაწუხა მტერმა, რომ ჩრდილოეთისაკენ დაიხია. ჰაიჩოუდან სამხრეთად, 200 ვერსის მანძილზედ, იაპონელებმა დააყენეს ყველა გზებზედ უღელტეხილებთან ძლიერი ქვეითი ჯარები. ფინხუანჩენის მხრიდან მოსევა იაპონელებისა შეჩერებულ იქმნა.

**ტოკიო**, 18 ივნისს (ბერლინიდან ნაუწყები). მიკადომ მიიღო დღეს ახალი მთავარ-სარდალი მანჯურიის ლაშქრისა მარკიზი ოიამა და გენერლები კოდამა და ფუკიშიმა და გამოეთხოვა, რადგან ეს გენერლები ოთხშაბათს მიდიან ლაშქარში. ოიამას მიკადომ საჩუქრად უბოძა შესაბმელი ცხენები, ეტლი და საჯდომი ცხენი. კოდამასაც საჯდომი ცხენი უბოძა

**გაიანცზე**, 18 ივნისს («რეიტერის სააგენტო») როცა გავიდა ვადა დროებით ჩამოვარდნილის ზავისა, რომელიც ითხოვეს თიბეთელებმა და მაკდონალდი ხელ-ახლად ეპირებოდა შესდგომოდა ლაშქრობას, მოვიდა თიბეთელთა ერთი მაღალ-ხარისხოვანი მოხელე და გადასცა მაკდონალდს წერილი დალაი-ლამისა. დალაი-ლამა სთხოვდა წერილში, მშვიდობით გავათავოთ საქმეო. მოლაპარაკებისათვის დანიშნულნი არიან მაღალ ხარისხოვანნი კაცნი. საზოგადოდ აზრია, რომ საქმე დამთავრდებოდა უბრძოლველად და სისხლის დაუღვრელად.

**ჩიფუ**. („რეიტ. სააგ.“). აქ მოსულ გემზედ მყოფნი მგზავრნი გადმოქვცემენ, რომ დღეს, ნაშუადღევის შემდეგ, გემმა გაიარა ჩიფუსა და პორტ-არტურს შუა, 15 მილის მანძილზედ იაპონიის ესკადრიდგან; ამ ესკადრაში იყო 2 ჯავშნიანი და 5 სათარეშო გემი, რომელნიც საშინლად იბრძოდნენ. რუსეთის ესკადრა არა სჩანდა, რადგანაც იაპონელები შორს იდგნენ ნაპირიდგან, ამიტომ სანაპირო ბატარეებისთვის ყუმბარების დაშენა შეუძლებელი იყო.

**ნანტი**. 18 ივნისი. («ვოლფის სააგენტო»). საკონგრეგაციო ქონებათა ლიკვიდაციის მოსახდენად დანიშნული მოხელე შეუდგა დღეს კაპუცინების გადასახლებას; მოხელეს თან ახლავს და ჰშველის ორი როტა ქვეითა ჯარისა, ცხენოსანთა ერთ-ნახევარი ესკადრონი და ორმოცი ჟანდარმი. საჭირო შეიქმნა მონასტრის კარების ჩამტვრევა და იქიდგან თითოეულის ბერის ცალკ-ცალკე ძალით გამოდევნა.

**პარიჟი**. 18 ივნისი («ჰავასის სააგენტო»). საბიუჯეტო კომისიამ 14 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 10-სა, გამორიცხა ხარჯთ-აღრიცხვიდგან ვატიკანში (პაპთან) მყოფ ელჩის შესანახად გადადებული ჯამაგირი.

**პარიჟი**, («ვოლფის სააგენტო»). ამ სამის დღის წინად დაპატიმრებულ აფიცრებს ბრალსა სდებენ სამხედრო თანხის გაფლანგვაში და ამის გამო პასუხის გებაში აძლევენ.

**სოფია** 18 ივნისი (ბერლინიდგ ნ ნაუწყები). როგორც სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, პეტრე მეფე მომავალს კვირაში ინახულებს ბულგარიის მთავარს ფერდინანდს საზაფხულო რეზიდენციაში.

**შეცდომის გასწორება**. დღევანდელს დილის დეპეშაში ტელეგრაფის მიზეზით გამოტოვებულია ფრაზები გენერალ ქილინსკის დეპეშაში ამ სიტყვების შემდეგ: «იაპონელები შორის მანძილიდგან დიდის ძლიერებით გვესროდნენ ყუმბარებს», უნდა წაიკითხოთ: «იაპონელების ესკადრა მოსჩანს არტურიდგან ტალიენვანის ყურეში; ეხლა მოსჩანს ერთი სათარეშო, ორი ნაღმიანი და სამიც სავაჭრო გემი; სჩანს, ამ გემებს აქ გადმოუტანიათ სურსათი და დაუცლიათ».

დროებით რედაქტორი **გრ. ყიფშიძე**.

გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი**.

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**

18 ივნისი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,00 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,95 |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები | 94,50 |
| ბერლინში „ | 46,30 |
| პარიჟში „ | 37,57½ |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92 ნის. გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 87 ნის. გაყ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ.ბილ. 1864 წ. | 380 წვ. გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 294 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 258 წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | 83½ წვ. გაყ. |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | 87¼ ნის. გაყ. |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |


# განცხადებანი

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1-ლ ამ ენკენისთვიდამ ამ წლისა ინიშნება სტიპენდია გრაფ მიხეილ ტარიელის ძის ლორის-მელიქოვის სახელობაზედ საიმპერატორო უნივერსიტეტებში ხელმოკლე სტუდენტებისათვის, რომელთაც დაამთავრეს კარგად კურსი ტფილისის გიმნაზიებში (უეჭველად უნდა იყოს ტფილისის მოქალაქეთაგანი) ხალხოსნობის განურჩევლად.

თხოვნებით უნდა მიჰმართონ გამგეობის მე-2 განყოფილებას. თხოვნებთან ერთად უნდა წარადგინონ პირი დაბადების მოწმობიდან და აგრეთვე მოწმობა უნივერსიტეტის გამგეობისა, რომელშიაც უნდა აღნიშნული იყოს იმყოფება თუ არა მთხოვნელი უნივერსიტეტში. (3—6—1)



**მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი**

„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და ის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

სახნის პირველ-დაწყებით სასწავლებელში (სოფელ ყვარელში) არის 45 თავისუფალი სახელმწიფო ვაკანსია ამიერ კავკასიის თავად-აზნაურთა და სხვა საპატიო წოდებათა შვილებისათვის. მიიღებენ ბავშვებს 8—10 წლისას.

მსურველთ თხოვნები უნდა მიართვან კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს; თხოვნასთან ერთად უნდა წარადგინონ აგრეთვე დაბადებისა, ჩამომავლობისა, სიღარიბისა და ექიმის მოწმობანი. (3—6—3)



როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, კიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა.

ბ. მ. მირიმანიანისა.

МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО

В. М. МИРИМАНЯНЪ

Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—4)

ქუთაისში

ს. ზ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებს სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.


ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ უმაღლეს მთავრობის ნება-რთვით ამიერიდგან მიიღება ხელის მოწერა შემოწირულებათა შესაკრებად აწ განსვენებულის დიდი მთავრინასი ოლღა თეოდორეს ასულის ძეგლის ასაგებად ტფილისში. (3—6.—3)


გამოვიდა და ისყიდება ხიდღეკელის წიგნის მაღაზიაში და სხვა წიგნის მაღაზიებში ტფილისში

НАРОДНАЯ МЕДИЦИНА

въ Закавказскомъ краѣ, ა. იაშვილისა, ფასი 70 კაპ.

(2—141—2).



ამერიკის

## ავტომობილები

ბენზინით მოძრავი

## ველოსიპედები

ბენზინის მატორებით.

АКЦ. О-ВО „ЭНФИЛЬДЪ“

МОСКВА, РОЖДЕСТВЕНКА № 9.

СПБ. Морская, № 30.

(10—6—10).

## ძვირფასი საჩუქარი ოქრო და ბრილიანტი

**როცა შეიძლება შეიძინა ჩვენის სავაჭრო სახლისაგან**

მხოლოდ 5 მან. 50 კაპ. გამოგზავნით

გარნიტურისა, რომელშიაც იქნება 4 ლამაზი ნივთი: 1) ბრასლეტი, 2) ბროშკა, 3) წყვილი მოზრდილი საყურე, 4) ბეჭედი ყველა წმინდა ვერცხლისა, 84 დამღისა, კარგად ცურვილი, ბრძმედ გამოვლილი ოქროში ელექტრონის წესით და მოოჭვილი გარშემო პარიჟის ბრილიანტებით, რომელიც (შუა-გულ ქვას) ზურმუხტს, საფირონს, ამეთვისტოს (ვისაც რომელი სურს) შემორტყმული აქვს გარს; ნივთები ხელოვანებით არის გაკეთებული და ბაჯაღლო ოქროში ვერ გამოარჩევთ. ბრილიანტებსაც ისეთი წყალი და ჯავარი აქვს, რომ არ ჩამოუვარდება 200 მანეთად ღირებულ ძვირფას ბრილიანტებს. ყველა ეს ნივთები თამამად გასწევს ოქროს ნივთებისა და ბრილიანტების მაგიერობას.

ნივთები გაგზავნით ეღირება მხოლოდ 5 მან. 50 კაპ.

## იაფი გარნიტური

**მხოლოდ 4 მან. 45 კაპ. გაგზავნით**

ვგზავნით 5 შემდეგს ნივთს: 1) კაცის საათს, საუკეთესოდ მოოქროვილს. ძნელი გასარჩევია ოქროში, ან შავის გამოწრთობილის ფოლადისას, კაცისა ან ქალისა მაგარის ხაზინით და 6 წლის ბუღდავანობით; 2) ახალ ოქროს ძეწკვს პრტყელს (პანცირისას) ან ქალისას, ყელზედ საკიდს; 3) ბრელოკს, კომპასს ან ბინოკლს ან ვენზელს, 4) საწერ იარაღს-რომელშიაც არის ლითონის ტარი, კალამი, ყარანდაში, შტემპელი სახელისა, მამის სახელისა და გვარისათვის; ზედ ამოიჭრება ორი ასო ბეჭედისათვის, 5) მეშის კოხტა ქისას სხვადასხვა გვარ ფულისათვის ან ტყავის, პორტმონეს ქალისათვის; ასახდელი საათიცაა; სახურავიანი ვისაც უნდა, დაუმატებს 1 მან. 50 კ.

**ვინც ორივე გარნიტურს დაიბარებს, უნდა გამოუგზავნოს მხოლოდ 8 მან. 90 კაპ.**

მოთხოვნილება დაუყოვნებლივ შესრულდება და ნივთები გაეგზავნება ადრესატებს უბეოდ, ფას-დადებით. ადრესი:

*Торгово-транспортному дому Т-во „Парижскій Лувръ“. Варшава 32/323*

აზიის რუსეთში და ციმბირში გაგზავნისათვის საჭიროა ბეს გამოგზავნა (შეიძლება მარკებით და ფასის მიემატება წონისამებრ. (3—6—3)



## სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბუღდავანობით; 2) მევის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა პულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუქი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 რობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პოტსიგარი ან მეშის ჩანთა ამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიკიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. S. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ და ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ. 3—6—2)

Feriencolonien. Colonie des vacances

„პატარა-ცემი“-ს

## საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

## მოზარდ ქალ-ვაჟთათვის

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზედ, ბორჯომის მახლობლად, მთა-ადგილზედ, ფიჭვნარში, 4400 ფუტის, 1300 მეტრის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ჭაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება დასვენება, მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური. მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო და ყოველ-გვარი ვარჯიშობა წყლით ექიმობა და სხვ.

არ მიიღება მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ, მთა-ადგილს ყოფნა არ არგებს.

საზაფხულო სამყოფის ხანად არის დანიშნული **ორი თვე**: 15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებით ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ანუ წერილობით შეიძლება მიმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისს, ნიკოლოზ ზაის ქ. № 46. (15—15)

## საუკეთესო სააგარაკო ადგილები

## ზედ სურამის მახლობლად

მაღლობს და ტყით შემოსილ მთებ შორის, სხვა და სხვა ზომისა,

## ისყიდება

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—10)